საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №43/2017
2017 წლის 8 სექტემბერი

ქ. თბილისი

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

საუბნო საარჩევნო კომისიებმა კენჭისყრის დღემდე არაუადრეს 30-ე (21 სექტემბერი) და არაუგვიანეს მე-20 დღისა (1 ოქტომბერი) განახორციელონ ამომრჩევლის მონაცემების ბარათების დარიგება, რომელშიც მითითებული იქნება:

1. ამომრჩევლის სახელი, გვარი;

2. დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

3. ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი;

4. საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი, სადაც ამომრჩეველს შეეძლება ხმის მიცემა;

5. ამომრჩევლის მიერ სიაში ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი საარჩევნო კომისიის ან/და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახურისათვის განცხადებით მიმართვის ბოლო ვადა.

მუხლი 2

ამომრჩევლის მონაცემების ბარათების დარიგება მოხდება შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, იმ პირობით, რომ ბარათების მისამართებზე დარიგებას ახორციელებს კომისიის არანაკლებ 2 წევრი ერთდროულად.

მუხლი 3

ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული განცხადების საარჩევნო კომისიაში შეტანის, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განმცხადებლისათვის გაცნობის, ასევე გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით.

მუხლი 4

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების ასლი, ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2 დღის ვადაში ეგზავნება:

1. შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას;

2. საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს, მათ ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებში შესაბამისი ასახვის მიზნით.

მუხლი 5

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული განცხადების საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში წარდგენის ბოლო ვადაა კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-18 დღე (3 ოქტომბერი). შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ ამ სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ, მაგრამ კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-14 დღისა (7 ოქტომბერი), ეგზავნება ამომრჩეველთა ერთიან სიაში ასახვის მიზნით, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიასა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

მუხლი 6

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ამ დადგენილების მოთხოვნათა ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განიხილება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28-ე მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომად.

მუხლი 7

ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული ამომრჩევლის მონაცემების ბარათის სახეს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა (21 სექტემბერი) ადგენს ცესკო განკარგულებით.

მუხლი 8

დაევალოს ცესკოს საფინანსო დეპარტამენტს, ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების ფინანსური ხარჯების დაფარვა მოახდინოს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებიდან.

მუხლი 9

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 10

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	**თამარ ჟვანია**
კომისიის მდივანი	**გიორგი ჯავახიშვილი**